“ზენიტი” თავგამოდებით იბრძოდა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 22 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ზენიტი” (ლენინგრადი) 1:0 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, სიჭინავა, მეტრეველი, გავაშელი, მესხი.

“ზენიტი”: შაპოვალენკო, ბულავინი, ნაუმოვი, ლოხოვი, იუმაკულოვი, სადირინი, პოლიაკოვი, ვიუნი, ბურჩალკინი, გონჩაროვი (პოღოსოვი), უნანოვი.

მსაჯი ვ. ბაბუშკინი (მოსკოვი).

დუბლიორები - 5:2 “ზენიტის” სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, თბილისში 22 ოქტომბერს მინდორზე გამოსული “ზენიტი” აბსოლუტურად არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ ძალზე სუსტად ითამაშა ერევანში და თითქმის უბრძოლველად განიცადა მარცხი დიდი ანგარიშით - 0:3. კიდევ მეტიც: შეიძლება ითქვას, რომ ტონი თამაშს ლენინგრადელებმა მისცეს. დაიწყო თუ არა მატჩი, გათამაშდა სწრაფი კომბინაცია, რომელიც საკმაოდ სახიფათო დარტყმით დაამთავრა ვიუნმა. გავიდა წუთი და სტუმრების ხელახალი იერიში ახალი სახიფათო მომენტით დამთავრდა, თუმცა გონჩაროვმა გადამწყვეტ მომენტში არაზუსტად ითამაშა.

სტუმრების ასეთ “განწყობილებას” სათანადო კონტრზომები ჭირდებოდა და დინამოელებმაც მაშინვე მიიღეს მათ მიერ შემოთავაზებული ტემპი. შეტევა “ზენიტის” კართან საკმაოდ გაძლიერებული ძალებით, ნახევარმცველთა აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა, მაგრამ საკმარისი გახდა დაწოლის ოდნავი მოდუნება, რომ ლენინგრადელთა თავდამსხმელები წამსვე გამოჩნდნენ “დინამოს” საჯარიმო მოედანზე, ამასთან ურუშაძეს ჯერ ერთობ სახიფათო ბურთის აღება მოუხდა ვიუნისგან, შემდეგ კი სადირინმა სულ მცირე მანძილით ააცილა თავისი დარტყმა კარს.

ასეთ ორმხრივ, ძალზე სახიფათო შეტევებში მიმდინარეობდა მთელი ტაიმი. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა (განუწყვეტლივ წვიმდა და მიწა სველი იყო), ტემპი არ შენელებულა. საერთო უპირატესობა, მართალია, დინამოელთა მხარეს იყო, მაგრამ საგოლე მომენტებს არც “ზენიტი” ქმნიდა ნაკლებს. მაგალითად, 37-ე წუთზე მასპინძლები სასწაულებრივ გადაურჩნენ მარცხს. ურუშაძემ გაჭირვებით მოიგერია კუთხურიდან მოწოდებული ბურთი, რომელიც ზედიზედ სამჯერ იქნა ძლიერი დარტყმებით გაგზავნილი კარისკენ, იქ, სადაც “დინამოს” მთელი დაცვა იყო თავმოყრილი ზედ კარის ხაზზე.

ერთი სიტყვით, “ზენიტი” ძალების სრული მობილიზებით იბრძოდა და იოლ გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

თბილისელებს უკიდურესად საჭირო 2 ქულა მოუტანა ერთადერთმა გოლმა, რომელიც გუნდის ყველაზე შედეგიანმა თავდამსხმელმა გავაშელმა გაიტანა 66-ე წუთზე. ცხოვრებოვის მიერ მოწოდებული ბურთი მან მიიღო ლენინგრადელთა საჯარიმო მოედნის ცენტრში, კარის უშუალო სიახლოვეს. მისი დარტყმა გადამწყვეტი აღმოჩნდა - 1:0.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 24 ოქტომბერი, 1968 წ.